

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო**

ქ. ბათუმი

31 ივლისი, 2020 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/01

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
ეთიკის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში და კოდექსის:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) პატივი სცეს სტუდენტთა აზრებს, შეუქმნას მათ ყველა პირობა იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად, ხელი შეუწყოს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას;“

ბ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. აკადემიური ეთიკა

უნივერსიტეტში აკადემიური ეთიკის დარღვევად მიიჩნევა:

ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობით; ავტორების ან წყაროების მითითებისას გარკვეული სახის ინფორმაციის გამორჩენა ან არევა;

გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

დ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ არაერთხელ წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების ან შესაბამისი მითითების გარეშე (მაგალითად: სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთი და იგივე თავების გამოორება შესაბამისი მითითების გარეშე); სტუდენტების მიერ ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის, პროექტის, კონკურსის ფარგლებში);

ე) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

ვ) საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე; სხვის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ნამუშევრის ასლის შესრულება/გადატანა საავტორო უფლებების დაცვის, ავტორის მითითებისა და ნებართვის გარეშე;

ზ) გამოუქვეყნებელი მასალის (ნაშრომი, შემოქმედებითი ნამუშევარი/პროექტი, სალექციო კურსი და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი**

თ. მეიშვილი